

ტესტი მუსიკაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან: I მოსმენის ნაწილი; II დახურული და ღია დავალებები, რომელიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.

მოსმენის ნაწილისათვის გამოყოფილია განსაზღვრული დრო. ტესტის ელექტრონულ ბუკლეტში თითოეული დავალების შესაბამის ინსტრუქციაში მითითებულია დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი კონკრეტული დრო.

დარჩენილი დრო თქვენი შეხედულებისამებრ გადაანაწილეთ ტესტის II ნაწილის დავალებებზე.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



I მოსმენის ნაწილი

მოსმენის ნაწილი აერთიანებს ათ დავალებას.

დავალებები № 1- 6.

ინსტრუქცია. პირველი ექვსი დავალებიდან თითოეული შედგება ერთი მუსიკალური ფრაგმენტისა და ორი კითხვისაგან. ყოველ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. აირჩიეთ პასუხი და X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პასუხების ფურცელზე. სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით, შესაბამისად, თითოეული დავალება - ორი ქულით.

დავალებისათვის განკუთვნილ მუსიკალურ ფრაგმენტს მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 20 წამია. ფრაგმენტის მოსმენამდე გეძლევათ 10 წამი კითხვების წასაკითხად.

დავალებები მოცემულია მომდევნო გვერდიდან.

(2) დავალება № 1.

პირველი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

1.1 რომელი კუთხის სიმღერაა?

- ა) ქართლის;
- ბ) გურიის;
- გ) იმერეთის;
- დ) სამეგრელოს.

1.2 რა ჟანრის სიმღერაა?

- ა) სუფრული;
- ბ) რიტუალური;
- გ) ლაშქრული;
- დ) შრომის.

(2) დავალება № 2.

მეორე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

2.1 რომელი კინოფილმისათვის

არის შექმნილი მუსიკა?

ა) „როცა აყვავდა ნუში“;

ბ) „ნინო“;

გ) „სხვისი შვილები“;

დ) „ჭრიჭინა“.

2.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) სულხან ცინცაძე;

ბ) არჩილ კერესელიძე;

გ) გია ყანჩელი;

დ) რევაზ ლალიძე.

(2) დავალება № 3.

მესამე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

3.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

- ა) ედვარდ გრიგი;
- ბ) ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი;
- გ) სერგეი რახმანინოვი;
- დ) რობერტ შუმანი.

3.2 რა ჟანრის თხზულებაა?

- ა) უვერტიურა;
- ბ) კონცერტი;
- გ) სიმფონია;
- დ) სონატა.

(2) დავალება № 4.

მეოთხე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

4.1 რომელი ეპოქის ან/და მიმდინარეობის
მუსიკაა?

- ა) XIX საუკუნის;
- ბ) ექსპრესიონიზმის;
- გ) ბაროკოს;
- დ) კლასიციზმის.

4.2 რომელი საოპერო ხმა ასრულებს?

- ა) სოპრანო;
- ბ) კონტრალტო;
- გ) კოლორატურული სოპრანო;
- დ) მეცო სოპრანო.

(2) დავალება № 5.

მეხუთე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

5.1 რა ჟანრის თხზულებაა?

- ა) ნოქტიურნი;
- ბ) რაფსოდია;
- გ) პრელუდია;
- დ) ეტიუდი.

5.2 რომელ მიმდინარეობას ეკუთვნის
ნაწარმოები?

- ა) იმპრესიონიზმს;
- ბ) კლასიციზმს;
- გ) რომანტიზმს;
- დ) ნეოკლასიციზმს.

(2) დავალება № 6.

მეექვსე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

6.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?


- ა) იგორ სტრავინსკი;
- ბ) მორის რაველი;
- გ) სერგეი რახმანინოვი;
- დ) ჯორჯ გერშვინი.


6.2 რომელ ჟანრს ეკუთვნის ფრაგმენტი?


- ა) ბალადას;
- ბ) რომანსს;
- გ) ვოკალიზს;
- დ) იავნანას.


(1) დავალება № 7.

ინსტრუქცია. მოუსმინეთ მუსიკალურ ბგერათა რიგს. სანოტო ჩანაწერში მოცემულ კილოთა ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ბგერათა რიგს მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:

ა) 

ბ) 

გ) 

დ) 

(1) დავალება № 8.

ინსტრუქცია. მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაზას. სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი განსხვავებული რიტმული ფიგურაციიდან შეარჩიეთ მოსმენილის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. მუსიკალურ ფრაზას მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:

ა) 

ბ) 

გ) 

დ) 

(5) დავალება № 9.

მელოდიური კარნახი.

ინსტრუქცია. მოუსმინეთ მელოდიას და ჩაწერეთ სანოტო სისტემაში. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი. მელოდიას ისმენთ აუდიოჩანაწერში ხუთჯერ; მოსმენებს შორის ორწუთიანი ინტერვალია.

კარნახი მოცემულია ტონალობაში - სი ბემოლ მაჟორი B dur

თქვენ მიერ ჩაწერილი მელოდია გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში კალმით.

(13) დავალება № 10.

მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი.

ინსტრუქცია. გააანალიზეთ მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტი, აუდიო და სანოტო ჩანაწერების საფუძველზე. ფრაგმენტს მოისმენთ სამჯერ, მოსმენებს შორის ორწუთიანი ინტერვალით. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 30 წამი, რათა გადახედოთ დავალების კითხვებს.

კითხვები იხილეთ მომდევნო ორ გვერდზე.

(2) 1. რომელ ინსტრუმენტულ ჟანრს ეკუთვნის მოცემული მუსიკალური ფრაგმენტი?

(3) 2. დაადგინეთ ფრაგმენტის:

ა) საწყისი ტონალობა;

ბ) პირველი ტაქტიდან მე-18-ე ტაქტის ჩათვლით მონაკვეთის მუსიკალური ფორმა;

გ) მე-7-8 ტაქტებში მოცემულ საკადანსო ბრუნვაში შემავალი აკორდების ჰარმონიული ფუნქციები.

(3) 3. დაახასიათეთ, თუ როგორ ვითარდება ნაწარმოების მხატვრულ-ემოციური მხარე; ამისათვის გააანალიზეთ და აღწერეთ, მუსიკალური გამომსახველობის რომელი ხერხებია (როგორი სახის მელოდია, რიტმი, ტემპი, რეგისტრი, ჰარმონია, კილო-ტონალობა, ფაქტურა და ა. შ.) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოცემული ფრაგმენტის მუსიკალურ-მხატვრული შინაარსის შექმნისათვის.

(2) 4. მოსმენილი ფრაგმენტის მუსიკალური მახასიათებლების საფუძველზე, დაადგინეთ ნაწარმოების შექმნის ეპოქა და კომპოზიტორის ვინაობა.

(3) 5. დაახასიათეთ კომპოზიტორის შემოქმედება და აღნიშნეთ, რა სიახლე შეიტანა მან მუსიკის სფეროში; განიხილეთ მოსმენილი ნაწარმოების ისტორიულ-კულტურული კონტექსტი, იმსჯელეთ მოცემული ჟანრის მნიშვნელობაზე კომპოზიტორის შემოქმედებაში და ზოგადად დაახასიათეთ ნაწარმოები.

მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო ჩანაწერი იხილეთ მომდევნო გვერდებზე.

Andante grazioso

The first system of music consists of four measures. The key signature is two sharps (F# and C#), and the time signature is 3/4. The tempo is marked 'Andante grazioso'. The music is written for piano. The right hand features a melodic line with eighth and sixteenth notes, while the left hand provides a harmonic accompaniment with chords and moving lines. A dynamic marking of *p* (piano) is present in the first measure. The system concludes with a triplet of eighth notes in the right hand, marked with a '3' and fingerings '1' and '2'.

The second system of music consists of four measures. It continues the melodic and harmonic development from the first system. The right hand has a melodic line with some rests, and the left hand has a rhythmic accompaniment. A dynamic marking of *sf* (sforzando) is used in the third measure, followed by a *p* (piano) marking in the fourth measure. The system ends with a repeat sign and a first ending bracket.

The third system of music consists of four measures. The right hand continues with a melodic line, and the left hand features a more active accompaniment with slurs. A dynamic marking of *sf* (sforzando) is used in the second, third, and fourth measures. The system concludes with a final cadence in the right hand.

The first system of music consists of two staves. The treble staff contains a melodic line with eighth and sixteenth notes, some beamed together. The bass staff provides a rhythmic accompaniment with chords and single notes. Dynamics include *sf* (sforzando), *p* (piano), and *f* (forte). The key signature has two sharps (F# and C#).

Var. I

The second system, labeled "Var. I", features a more complex melodic line in the treble staff with triplets and sixteenth-note runs. The bass staff has a simpler accompaniment. Dynamics include *p* (piano). Fingerings are indicated by numbers 1, 2, 3, and 4 above the notes. The key signature has two sharps.

The third system continues the musical piece. The treble staff has a melodic line with triplets and slurs. The bass staff has a rhythmic accompaniment with eighth-note patterns. Dynamics include *f* (forte). Fingerings are indicated by numbers 1, 2, and 3. The key signature has two sharps.

First system of musical notation. The treble clef staff features a melodic line with a trill (*tr*) on the first measure and a triplet of eighth notes in the second measure. The bass clef staff has a rhythmic accompaniment with fingerings 1, 2, 1. A repeat sign is present, and the second measure of the second system begins with a piano (*p*) dynamic marking.

Second system of musical notation. The treble clef staff contains complex melodic passages with slurs and fingerings 1, 3, 1, 4, 2, 4, 3, 4, 3, 4. The bass clef staff provides harmonic support with slurs and dynamic markings *sf*, *p sf p sf*, and *p*.

Third system of musical notation. The treble clef staff continues the melodic line with slurs and accents. The bass clef staff continues the harmonic accompaniment with slurs and accents.

First system of a musical score in treble and bass clefs. The key signature has three sharps (F#, C#, G#). The time signature is 4/4. The system contains two measures. The first measure features a complex melodic line in the treble with a trill (tr) and a 5/4 time signature change. The bass line consists of a steady eighth-note accompaniment. The second measure continues the melodic and accompanimental patterns.

Var. II

Second system of the musical score, labeled "Var. II". It is in treble and bass clefs with a key signature of three sharps and a 6/8 time signature. The system contains two measures. The first measure has a piano (*p*) dynamic and features a trill (tr) in the treble and triplets (3) in the bass. The second measure continues with a trill (tr) in the treble and a steady eighth-note accompaniment in the bass. The word "(simile)" is written below the second measure.

Third system of the musical score in treble and bass clefs with a key signature of three sharps and a 6/8 time signature. The system contains two measures. The first measure features a trill (tr) in the treble and a steady eighth-note accompaniment in the bass. The second measure continues with a trill (tr) in the treble and a steady eighth-note accompaniment in the bass.

First system of a musical score in D major. The right hand features a melodic line with eighth-note patterns and slurs, with fingerings 2, 4, and 4 indicated. The left hand provides a bass line with quarter notes and rests, starting with a forte (*f*) dynamic.

Second system of the musical score. The right hand continues with eighth-note patterns and slurs, with fingerings 2, 5, 4, 5, 8, and 5 4 indicated. The left hand continues with quarter notes and rests.

Third system of the musical score. The right hand features a melodic line with slurs and trills (*tr*), with a dynamic marking of piano (*p*). The left hand features a bass line with eighth-note patterns and slurs, with fingerings 4 and 5 indicated, and a *(simile)* marking. A trill (*tr*) is also present in the right hand.

First system of a musical score in G major. The right hand features a melodic line with a *cresc.* marking, followed by a *f* dynamic and ending with a *p* dynamic. The left hand plays a steady eighth-note accompaniment. The system concludes with a 4-measure rest in the bass line and a 5-measure rest in the treble line.

Second system of the musical score. The right hand continues the melodic line with trills (*tr*) and rests. The left hand maintains the eighth-note accompaniment.

Third system of the musical score. The right hand features trills (*tr*) and rests. The left hand continues the eighth-note accompaniment. The system ends with a 3-measure rest in the bass line and a 5-measure rest in the treble line.

The first system of music is written for piano in a key signature of two sharps (F# and C#). The treble clef part begins with a dynamic marking of *f* and contains several slurred eighth-note passages. The first measure has a fingering of 4, the second 5, the third 4, and the fourth 3. The bass clef part provides a harmonic accompaniment with slurred eighth notes.

Var. III

The second system is labeled "Var. III" and is in 6/8 time. The treble clef part starts with a dynamic marking of *p* and features a slurred eighth-note melody with fingerings 3 and 1. The bass clef part has a steady eighth-note accompaniment with a fingering of 4 at the beginning.

The third system continues the piece with complex slurs and fingerings. The treble clef part includes slurs over eighth notes with fingerings 2, 5, 4, 4, 1, 3, 3, 4, and 5. The bass clef part has a consistent eighth-note accompaniment with fingerings 5 and 2.

First system of musical notation. The treble clef staff contains a melodic line with a slur over the first four measures. Fingering numbers 5, 3, 4, 4, 3, and 3 are placed above the notes. The bass clef staff contains a supporting line with a slur over the first four measures and a fingering number 4 below the final note.

Second system of musical notation. The treble clef staff has a slur over the first four measures with fingering numbers 3, 4, 3, and 4 above the notes. The bass clef staff begins with a piano (*p*) dynamic marking. It features a slur over the first two measures and another slur over the last two measures, with fingering numbers 1, 2, 1, and 4 placed above the notes.

Third system of musical notation. The treble clef staff has a slur over the first three measures with fingering numbers 5, 4, and 3 above the notes. The fourth measure has a slur over two notes with fingering numbers 2, 3, 5, and 4 above them. The bass clef staff has a slur over the first four measures with fingering numbers 5, 2, 2, 4, 4, and 1, 2 below the notes. A piano (*p*) dynamic marking is present in the second measure of the bass staff.

First system of a musical score, consisting of two staves (treble and bass clef). The music features a melodic line in the treble clef and a supporting bass line in the bass clef. The treble clef line has a series of eighth notes with a sharp sign, and the bass clef line has a series of eighth notes. There are slurs over the notes in both staves.

Second system of a musical score, consisting of two staves. The treble clef staff begins with a finger number '5' above the first note. The music continues with a melodic line in the treble clef and a supporting bass line in the bass clef. There is a dynamic marking 'f' (forte) in the bass clef staff. The system ends with a double bar line.

Third system of a musical score, labeled "Var. IV" and "m.s." (maestros). It consists of two staves. The treble clef staff has a dynamic marking 'p' (piano) and contains a series of chords. The bass clef staff has a series of notes with fingerings: 5 4, 5 3, 3 2, 4 2, 5 4, 5 3. The system ends with a double bar line.

First system of a piano score in D major. The right hand features a melodic line with slurs and a dynamic marking of *f*. The left hand provides a simple accompaniment.

Second system of the piano score. It includes fingering numbers (1-5) above and below notes. A dynamic marking of *(p)* is present. The system concludes with a repeat sign.

Third system of the piano score, featuring dynamic markings of *sfp* and *fp*. It includes fingering numbers and concludes with a final cadence.

m. s.

First system of musical notation, featuring a treble clef and a bass clef. The key signature is two sharps (F# and C#). The treble clef contains a melodic line with slurs and a fermata. The bass clef contains a supporting line with a fermata and a '4' below it.

Second system of musical notation, continuing the piece. It includes fingering numbers (4, 2, 5, 1, 2, 5, 1, 2, 4) and a dynamic marking 'f'.

Var. V
Adagio

p

Third system of musical notation, titled "Var. V Adagio". It features a treble clef and a bass clef. The key signature is two sharps (F# and C#). The treble clef contains a melodic line with slurs and a fermata. The bass clef contains a supporting line with slurs and a fermata. A *p* dynamic marking is present. Fingering numbers '4' and '5' are shown below the bass clef.

The first system of music consists of two staves. The treble staff contains a melodic line with several triplet markings (indicated by a '3' above the notes) and slurs. The bass staff provides a harmonic accompaniment with some rests and a few notes.

The second system continues the piece. It features dynamic markings of *f* (forte) and *p* (piano) in both staves. The treble staff has more complex rhythmic patterns with slurs and fingerings. The bass staff has a steady accompaniment with some rests.

The third system concludes the page. It shows further development of the melodic and harmonic themes. The treble staff has a prominent melodic line with slurs and fingerings. The bass staff continues with its accompaniment, ending with a final chord.

II ნაწილი

დავალებები № 11-28.

ინსტრუქცია. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

(1) დავალება № 11.

რომელი იტალიელი კომპოზიტორის შემოქმედებაში გამოვლინდა ვერიზმის ტენდენციები?

ა) ჯაკოპო პერის;

ბ) ჯუზეპე ვერდის;

გ) ჯოაკინო როსინის;

დ) ჯაკომო პუჩინის.

(1) დავალება № 12.

პირველად რომელმა კომპოზიტორმა გამოიყენა არფა სიმფონიური ორკესტრის
შემადგენლობაში?

ა) ანტონინ დვორჟაკმა;

ბ) გუსტავ მალერმა;

გ) ჰექტორ ბერლიოზმა;

დ) ფრანც შუბერტმა.

(1) დავალება № 13.

ვინ არის სიმღერა „ჩემო ციციანათელას“ პოეტური ტექსტის ავტორი?

ა) ილია ჭავჭავაძე;

ბ) დიმიტრი ფალავა;

გ) გრიგოლ ორბელიანი;

დ) აკაკი წერეთელი.

(1) დავალება № 14.

რომელი დაჯგუფება არის მცდარი?

- ა) მუსიკალური ტემპის აღმნიშვნელი ტერმინებია: vivace, moderato, largo;
- ბ) საეკლესიო მუსიკის ჟანრის ნიმუშებია: მესა, მადრიგალი, მოტეტი;
- გ) საბალეტო ჟანრის ნაწარმოებებია: „მთების გული“, „გორდა“, „ოტელო“;
- დ) ხის ჩასაბერ საკრავთა ჯგუფშია: ფლეიტა, კლარნეტი, ჰობოი.

(1) დავალება № 15.

ვინ დაწერა მუსიკა კინომიუზიკლისათვის „ვერის უბნის მელოდიები“?

ა) დავით თორაძემ;

ბ) რევაზ ლალიძემ;

გ) გიორგი ცაბაძემ;

დ) გია ყანჩელმა.

(1) დავალება № 16.

რომელი დახასიათება არ შეესატყვისება რობერტ შუმანის „კარნავალს“?

- ა) ოთხ ბგერაზე აგებული ვარიაციების ციკლი მრავალფეროვანი მხატვრული სახეებით;
- ბ) საკარნავალო ნიღბებისა და სცენების მონაცვლეობა ვალსის ფონზე;
- გ) კონტრასტული მინიატურების დაპირისპირებით შექმნილი ფანტაზია;
- დ) კარნავალის სადღესასწაულო სურათი ძველებური ცეკვებით.

(1) დავალება № 17.

მუსიკალური ორნამენტიკის რომელი სახეობა აღნიშნავს ერთი ან ნახევარი ტონით დაშორებული ორი მეზობელი ბგერის სწრაფ მონაცვლეობას?

ა) მორდენტი;

ბ) გრუპეტო;

გ) ფორშლაგი;

დ) ტრელი.

(1) დავალება № 18.

ვინ ჩაუყარა საფუძველი კლასიკური სიმებიანი კვარტეტის ჟანრს?

ა) ფრანც შუბერტმა;

ბ) ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა;

გ) იოჰნეფ ჰაიდნმა;

დ) ამადეუს მოცარტმა.

(1) დავალება № 19.

ვინ შექმნა პოეტური ტექსტი საგალობლისათვის „შენ ხარ ვენახი“?

ა) თეკლა ბატონიშვილმა;

ბ) ხალხურია;

გ) დემეტრე პირველმა;

დ) ფსალმუნის ტექსტია.

(1) დავალება № 20.

ზინგშილი არის საოპერო ჟანრი, რომლის დრამატურგიის საფუძველია:

ა) ვოკალური სცენების გამჭოლი მუსიკალური განვითარება;

ბ) სასიმღერო და სალაპარაკო ეპიზოდების მონაცვლეობა;

გ) არიების, secco რეჩიტატივების, ანსამბლებისა და გუნდების თანმიმდევრობა;

დ) არიების, არიოზული რეჩიტატივებისა და ანსამბლების მონაცვლეობა.

(1) დავალება № 21.

რომელია ჩეხური წარმოშობის ცეკვა?

ა) მენუეტი;

ბ) პოლონეზი;

გ) ვალსი;

დ) პოლკა.

(1) დავალება № 22.

რომელი მუსიკალური ჟანრი ან აზროვნების ფორმა არ შეესაბამება ბაროკოს ეპოქის მუსიკას?

- ა) ბაროკოს ეპოქის პოლიფონიური მუსიკის მნიშვნელოვანი ფორმაა ფუგა;
- ბ) საკრავთა დიდ ჯგუფთან სოლისტების მცირე ანსამბლის მონაცვლეობისა და დაპირისპირების საფუძველზე იქმნება concerto grosso-ს ჟანრი;
- გ) ბაროკოს მუსიკის კონტრასტული დინამიკა აისახება ოთხნაწილიან სიმფონიაში;
- დ) ოპერის მუსიკალურ-დრამატული ჟანრის ფარგლებში იქმნება არიისა და რეჩიტატივის სხვადასხვა სახე.

(1) დავალება № 23.

რომელ სიმფონიურ ნაწარმოებშია გამოყენებული ვოკალი?

ა) პოემა „ტილ უილენშპიგელის მხიარულ ოინებში“;

ბ) პიესა „ბოლეროში“;

გ) უვერტიურა „ზაფხულის ღამის სიზმარში“;

დ) ტრიფტიქ „ნოქტიურნებში“.

(1) დავალება № 24.

რა ჟანრის თხზულებაა ანტონიო ვივალდის „წელიწადის დრონი“?

ა) საფორტეპიანო სიუიტა;

ბ) ბალეტი;

გ) კონცერტების ციკლი;

დ) ორატორია.

(1) დავალება № 25.

რა თავისებურება არ ახასიათებს ქრისტოფ გლუკის საოპერო რეფორმას?

- ა) უვერტიურა ოპერის დრამატული იდეის სიმფონიური განზოგადობაა;
- ბ) ოპერის ცალკეული მუსიკალური ნომრები დიდ სცენებად ერთიანდება;
- გ) საოპერო მუსიკის უწყვეტი განვითარება ლაიტმოტივურ სისტემაზეა აგებული;
- დ) არია ოპერის მოქმედი გმირის ფიქრსა და განცდებს გადმოსცემს.

(1) დავალება № 26.

რომელი მუსიკალური ტერმინი აღნიშნავს შესრულებას „მედიდურად“?

ა) Maestoso;

ბ) Tranquillo;

გ) Giocoso;

დ) Dolce.

(1) დავალება № 27.

რა ეწოდება მუსიკალური ზგერის სიმალლის შეცვლას?

ა) პაუზა;

ბ) აკოლადა;

გ) ტემბრი;

დ) ალტერაცია.

(1) დავალება № 28.

რომელი მუსიკალური წყობაა სანოტო ჩანაწერის სახით მოცემულ ფრაგმენტში?

- ა) ჰეტეროფონიული;
- ბ) პოლიფონიური;
- გ) ჰომოფონიური;
- დ) მონოდიური.

Andante (♩ = 132)

14321

3 5 4 3 243

p *espr.* *dolce* *f* *p*

♩ * ♩ * ♩ * ♩ * ♩ * ♩ * ♩ * ♩ * ♩ *

♩ * ♩ * ♩ * ♩ * ♩ * ♩ * ♩ * ♩ * ♩ *

დავალელები № 29 - 32.

ნოტიდან აგება

ინსტრუქცია. ააგეთ და პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში ჩაწერეთ:
ინტერვალი, აკორდები და კილო მი ბემოლ ნოტიდან.

(1) 29. წმინდა კვინტა;

(1) 30. მაჟორული კვარტსექსტაკორდი;

(1) 31. მცირე მინორული სექსტაკორდი;

(1) 32. ჰარმონიული მაჟორი.

დავალეები № 33 - 35.

შესაბამისობის დადგენა

ინსტრუქცია. დავალეაში მოცემულია ჩამონათვალის ორი სვეტი. დაადგინეთ შესაბამისობა მათ შორის. მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (1, 2, 3) შეესაბამება მარჯვენა სვეტის მხოლოდ ერთი მონაცემი (ა, ბ, გ, დ, ე). ყოველი შერჩეული შესაბამისობა X ნიშნით მონიშნეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

(3) დავალება № 33.

დაადგინეთ შესაბამისობა ქართულ ხალხურ სიმღერებსა და მათი წარმოშობის კუთხეებს შორის:

1. „გუთნური“

ა) რაჭა

2. „ხასანბეგურა“

ბ) სამეგრელო

3. „ოდოია“

გ) კახეთი

დ) გურია

ე) თუშეთი

(3) დავალება № 34.

დაადგინეთ შესაბამისობა ინსტრუმენტულ ნაწარმოებებსა და მათ ავტორებს შორის:

1. „ზვიადაური“

ა) ანდრია ბალანჩივაძე

2. „რიწის ტბა“

ბ) სულხან ცინცაძე

3. „რონდო-ტოკატა“

გ) სულხან ნასიძე

დ) შალვა მშველიძე

ე) რევაზ ლაღიძე

(3) დავალება № 35.

დაადგინეთ შესაბამისობა კომპოზიტორებსა და ეპოქებს/მიმდინარეობებს შორის:

1. არნოლდ შონბერგი

ა) კლასიციზმი

2. არკანჯელო კორელი

ბ) რენესანსი

3. კლემან ჟანეკენი

გ) რომანტიზმი

დ) ბაროკო

ე) ექსპრესიონიზმი

დავალებები № 36–40.

„ჭეშმარიტია - მცდარია“

ინსტრუქცია. განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება; თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, შესაბამისი უჯრა X ნიშნით მონიშნეთ; ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ; თუკი ჩათვლით, რომ დებულება მცდარია, მაშინ შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით და გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი განმარტება.

მცდარი დებულების შემთხვევაში, მოცემულ განმარტებას შეუსაბამეთ სწორი ტერმინი/სიტყვა ან მოცემული ტერმინი/სიტყვისათვის დაწერეთ სწორი განმარტება. გაითვალისწინეთ, რომ არ მიიღება პასუხი იმ შემთხვევაში, თუ მოცემული განმარტების დადებით ფორმას შეცვლით უარყოფითით ან პირიქით. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) დავალება № 36.

რონდოს ფორმა აგებულია ერთი მუსიკალური თემის სახეშეცვლილ გამეორებებზე.

(1) დავალება № 37.

კლასიციზმის პერიოდის სონატა, კონცერტი და სიმფონია ერთნაწილიანი მუსიკალური
ჟანრებია.

(1) დავალება № 38.

„*Lento*“ - მუსიკალური ტემპის აღმნიშვნელი ტერმინია.

(1) დავალება № 39.

„*Dramma per musica*“ მე-16 საუკუნის დასასრულს უწოდეს დრამატული ხასიათის მქონე ინსტრუმენტული ჟანრის ნაწარმოებს.

(1) დავალება № 40.

„*Staccato*“ - მუსიკალურ საკრავზე შესრულების ერთ-ერთი ხერხია, რომლის დროსაც ბგერები გადაბმულად სრულდება.

დავალებები № 41 – 42.

ქრონოლოგიის დადგენა

ინსტრუქცია. დაალაგეთ ჩამონათვალი ქრონოლოგიურად უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხების ფურცელზე მოთავსებულ ცხრილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა აღნიშნულია ციფრებით 1-დან 4-მდე. ჩაწერეთ პასუხები შერჩეული ციფრის გასწვრივ უჯრაში, ანბანის შესაბამისი ასოებით (ა, ბ, გ, დ). თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) დავალება № 41.

დაალაგეთ ქრონოლოგიურად ინსტრუმენტული სიუიტები მათი შექმნის პერიოდის მიხედვით:

ა) „ცხოველთა კარნავალი“;

ბ) „საბავშვო კუთხე“;

გ) „სურათები გამოფენიდან“;

დ) „მუსიკა წყალზე“.

(1) დავალება № 42.

დაალაგეთ ქრონოლოგიურად ქართული ოპერების ჩამონათვალი მათი შექმნის პერიოდის მიხედვით:

ა) „ქრისტინე“;

ბ) „და არს მუსიკა“;

გ) „მინდია“;

დ) „აბესალომ და ეთერი“.